ფასი 10 კაპ.

6 აპრილი
1930 წ.

№ 13 (249)



— თესლი კი გვაქვს, მაგრამ ტარქტორი, რომ ვერ ძივილეთ!

— გაზაფხული კარზე მოგვადგა, ჩვენ კი ხვნა-თესვაც არ დაგვიწყია! — ესაყვედურებოდენ ერთმანეთს სოფ. ოფლადენის კოლექტივის წევრები.

— ხელცარიელი ხომ მუშაობას ვერ დავიწყებთ ამდენი ხანია სამეურნეო იარაღებს ველით და დღემდის არ მიგვიღია! — ნაღვლიანი ხმით ჩაილაპარაკა ერთმა მათგანმა.

— ახალ იარაღებს შენ თავი დაანებე, ისიც კი ვერ შევაკეთეთ, რაც გვქონდა, იარაღების შემკეთებელი სახელოსნო სახელითაა მხოლოდ, საქმით კი... გაისმა მოხუც ლევარსის ხმა.

—ჯერ იყო და თესლი თავის დროზე ვერ მივიღეთ, ეხლა თესლი გვაქვს და იარაღები არა,— წამოიძახა კოლექტივის ერთ-ერთმა წევრმა.

— თქვენ ეი, რა დაგემართათ, დამდგარხართ აქ და ბეგია ჩემსავით ტირით, საცაა ჩვენი თავმჯდომარე მიხო ტფილისიდან დაბრუნდება, იარაღებს მოიტანს და მუშაობასაც დავიწყებთ, — ხმა მაღლა და გაჯავრებით სთქვა ბესომ, რომელიც იქ მყოფთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო.

— შაქარი შენს ენას ბესო, შაქარი! გაისმა საერთო ხმა.

ამ დროს კოლექტივის ეზოში მიხო გამოჩნდა.

— მიხო, მიხო, მიხო! მიაძახეს მას კოლექტივის წევრებმა.

— რა მოგვიტანე მიხო ჯან? შეეკითხა მას ერთი მათგანი.

— მოტანით არაფერი მომიტანია, საქმე კი გავაკეთე, თქვენი დავალება შევასრულე: იარაღებს ხვალ თუ ზეგ მივიღებთ. ისე კი, რა უნდა გითხრათ ამხანაგებო, აი ბიუროკრატობა რომაა, ჩვენ რომ საქმის გაჭიანურებას ვეძახით, ესაა რომ ჩვენ საერთო საქმეს აფერხებს. პარტია და ხელისუფლება ჩვენთვის არაფერს ზოგავს, ყველაფრით გვეხმარება, მარა ისინი, რომლებიც ცხოვრებაში უნდა ატარებდენ მთავრობის დადგენილებებს, ვერ დგანან თავის სიმაღლეზე. ზოგი მათგანი შეიძლება განგებ გვიშლის ხელს, რომ კოლექტივმა არ იხეიროს ჩვენში, საქმე წაგვიხდინონ და საბჭოთა წყობილებას ავნონ.

ტფილისში რომ ჩავედი, გავიგე, რომ ჩვენთვის იარაღები თავის დროზე გადაუგზავნიათ რკინის გზისათვის, როცა რკინის გზას მივმართე, იქ მითხრეს, რომ იარაღები ორი თვის წინად გამოგიგზავნეთო. გამიხარდა. უმჯობესია გვიან, ვინემ არასდროს მეთქი. როცა ჩვენი სადგურის უფროსს მივმართე, მან მიპასუხა, თქვენი იარაღები არ მიგვიღიაო. არ ვიცოდი რა მექნა. ცენტრს დეპეშა გაუგზავნე. ერთი კვირაა, რაც ამ საქმეს დავსდევ და ბოლოს გავიგე, რომ ჩვენი იარაღები რკინის გზას შეცდომით ბათომში ჩაუტანია. მივიღე შესაფერი ზომები. ხვალ თუ ზეგ ბათომი ჩვენს იარაღებს გამოგვიგზავნის და ჩვენც მუშაობას დავიწყებთ! — დაათავა მიხომ და შუბლიდან ოფლი ჩამოიწმინდა.

— ალბად გზა აბნევია, კიდევ კარგი, რომ თვითონ არ დაიკარგა! — იხუმრა ბესომ.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ოფლადენის კოლექტივს სამეურნეო იარაღები დღესაც არ მიუღია.

ნიანგი.

ჩინეთის იმ ადგილებში, სადაც საბჭოთა ხელისუფლებაა გამოცხადებული საფრანგეთის მფრინაველებმა ყუმბარები ჩამოყარეს.



„და გამოვიდა მთესავი თესვად“

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარყოფა

წერილი რედაქციის მიმართ



ამხ. რედაქტორო!

თქვენი ჟურნალის ერთ-ნომერში მოთავსებულია წერილი ჩემს შესახებ.

ავტორი თავიდან ბოლომდე **სტყუის.**

ჩვენ, ამხ. რედაქტორო, კარგად ვიცით, ამხ. სტალინის სიტყვები **„5 პროცენტის"** შესახებ: **„თუ წერილის შინაარსი ხუთი პროცენტით მართალია, ესეც კარგი საქმეა".** (იხ. მარქსის კაპიტალი და გლეხ-კაცის ისტორია მე-10-ე ტომი, გვ. 1271).

მაგრამ აქ ერთი პროცენტიც არ არის სიმართლე.

დავიწყოთ და თვითეული წინადადება განვიხილოთ.

ავტორი სწერს:

ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარე, არაფერს აკეთებსო.

ალბად ბრმა თუა თქვენი კორესპონდენტი, თორემ მას უნდა დაენახა ჩემი საქმიანობა და მუშაობა:

ძველი, ოროთახიანი ოდა დავშალე და ვაკეთებ ცემენტის სართულზე (ახალი მოდაა სოფელში) ხუთოთახიან სახლს.

სამზარეულო სახლი კრამიტით გადავხურე.

წისქვილი შევაკეთე.

უმცროს ძმას ხარები ვუყიდე.

გარდა ამისა ხოახან შემეძინა ვაჟი...

[illegible]"?!.

ერთი წელიწადია რაც თავმჯდომარეთ ვარ, და მეტი რა უნდა გამეკეთებინა?!.

ჩავყვეთ ქვემოთ.

ალმასკომის თავმჯდომარე როსტომ საწყალაძისას ჩაის ჭიქებით სვამდა ღვინოსო.

ეს სრული ას პროცენტიანი სიცრუეა.

ჩაის ჭიქებით იქ ღვინო სულ არ დალეულა—ღვინის ჭიქებიდან პირდაპირ ყანწებზე გადავედით. თუ „ბ-ნ" კორესპონდენტს ყანწები ჩაის ჭიქებად მოელანდა, სჩანს მას თვალები სტკივებია და, ვურჩევდი, მატილოვთან წავიდეს თვალების საამქიმოდ.

მთვრალი იყო და ცხენიდან გადმოვარდაო.

ესეც ისეთივე სიცრუეა.

კი არ გადმოვარდნილვარ, არამედ გაჭენებულმა ცხენა მოსახვევში დაიფეთა, თავი ვერ შეიკავა და გადმომაგდო. (ეტყობა—ცხენზე ჯდომაც არ იცის თქვენმა კორესპონდენტმა, თორემ ეცოდინებოდა, თუ როგორი „მოგვერდი" იცის გაჭენებულმა ცხენმა მოსახვევში).

ამასწინად ვილაცას მამის სულიც კი შეაგინაო.

მამისული კი არა, დედა შევაგინე, და ეს იყო არა „ამას წინად", არამედ გასული წლის დეკემბრის 31-ს.

დიაკვნისას მთელი ღამე გაატარა ქეიფშიო.

დიაკვნისას კი არა, ეს იყო მღვდლისას, და არა „მთელი ღამე", არამედ მთელი დღე. (მღვდელსა და დიაკვანს შორის მგონი არის განსხვავება! მით უფრო დიდი განსხვავებაა დღესა და ღამეს შორის).

ჩვეულებრივ სჩვევია გლეხებისათვის ფეხების ბაკუნი

ფეხების ბაკუნი მე სრულიადაც არ ვიცი. უძიროები მაცვია და უძიროებით ბაკუნი როგორ შეიძლება?!) ბაკუნი კი არა, მე მხოლოდ მუშტების დარტყმა ვიცი მაგიდაზე.

ალმასკომში სინათლით, რომ ეძებოთ, ვერსად ნახავთ თავმჯდომარესო.

(ამ სიტყვებიდან სჩანს, რომ ავტორს თვალში სინათლე ჰკლებია, თორემ სანთელი რად დასჭირდა?!). ალმასკომში ჯდომით რა უნდა გავაკეთო? საჭიროა — მასებთან დაახლოება.

სოფელს არ ათვალიერებსო.

როგორ ჰგონია ავტორს — სოფელში უნდა ვიარო და ალმასკომში არ ვიჯდე?!.

კოოპერატივში თავისი ძმისწული, მაკრინე ქათამაძე მოაწყოო.

ეს საშინელზე უსაშინელესი ჭორია.

ძმისწული მე ჯერ-ჯერობით არა მყავს. (ჩემი ძმა უცოლოა). მყავს დისწული, ხოლო არა მაკრინე ქათამაძე, არამედ — მატრონე ქორიძე, რომელიც მართლაც მოვაწყვე კოოპერატივში, მაგრამ რა შუაშია აქ ქათამაძე და სად ქორიძე? (საიდან სადაო, წმინდა საბაო?!) სად **ძმის**წული და სად **დის**წული?! სად ქათამი და სად ქორი! (ქორსა და ქათამს შორის ნუ თუ ვერ ხედავს „პატივცემული" ავტორი განსხვავებას? ნუ თუ მისას ქორს ქათამი არ წაუღია?).

თესვის კამპანია არ ჩაუტარებიაო.

მე თუ თესვის კამპანია არ ჩამიტარებია, აბა, ვისღა ჩაუტარებია? ჩემს თემში ყველას დავასწარი თესვა—გავუსიე გლეხები და ათი ქცევა მიწა მარტო ეზოს მამულში დავათესვინე.

განა ამაზე მეტი თესვის კამპანიის ჩატარება შეიძლება?

ერთი სიტყვით, ავტორი ყველაფერში სტყუის.

ამასთანავე ერთად გიგზავნით ალმასკომის გამოკვლევას ჩემი საქმის შესახებ და გთხოვთ გაუშვათ უარყოფა.

ლორჯოულის ალმასკომის თავმჯდომარე

სილოვან ამაყაძე.

„ტარტაროზის რედაქციას"

ჟურნალ „ტარტაროზში" მოთავსებული წერილი ჩვენი ალმასკომის თავმჯდომარე **სილოვან ამაყაძის** შესახებ, როგორც ალმასკომის თავმჯდომარე **სილოვან ამაყაძის** მიერ არჩეულმა კომისიამ მისივე თავმჯდომარეობით გამოიკვლია, არ შეეფერება სინამდვილეს, რასაც ვადასტურებ ბეჭდის დასმით და საკუთარი ხელის მოწერით.

ლორჯოულის ალმასკომის თავმჯდომარე

სილოვან ამაყაძე.

დედანთან სწორია: **ისელი.**

20 აპრილს გამოვა „ტარტაროზი-ს" სპეციალური ქუთაისის ნომერი. თანამშრომლებს ვთხოვთ დაჩქარებით მოგვაწოდონ მასალები

„დაკვრითი წესით“

ზოგ ადგილებში სათესლე მარცვლეულობის შეკრეფა ხდება ძალდატანებით. დამნაშავეთ სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

— ამხ. თავმჯდომარე, საჭმელი სიმინდი მაინც დამიტოვე!
— რას ამბობ შენ?! სათესლე ფონდი რით-ღა შევავსო?

ბრძოლა, თუ შრომა?

გაზეთებს ხელში წასაკითხად როცა ავიღებ,
გაშტერებული ხახას დავაღებ!
ასეთი შემხვდება შიგ ლოზუნგები,
რომლის გაგებას დიდხანს უნდები.
ავიღოთ, თუნდა, აი, ასეთები,
რასაც ბეჭდავენ ეხლა გაზეთები:
— „ბრძოლა ღირსების აწევისათვის!“.
— „ბრძოლა ფასების დაწევისთვის!“.
— „გააფთრებული ბრძოლა გეგმისთვის!“.
— „შეუპოვარი ბრძოლა თესვისთვის!“.
— „ბრძოლა წერისა და კითხვისათვის!“.
— „ბრძოლა წესისა და რიგისათვის!“.
— „ბრძოლა ამისთვის, ბრძოლა იმისთვის!“.
მესმის ყოველგან, მესმის ყოველთვის!..
მაგრამ ლოზუნგის შედგენის დროს მათ,
ერთი სიტყვა მთლად ავიწყდებათ!
არ კმარა მარტო: „ბრძოლა“ და „ბრძოლა!“.
საჭირო არის აგრეთვე... შრომა!..

ს. თ—ი.

საუბარი გლეხთან

(ძირული)

— ხომ კარგათ არის თქვენი კოლექტივის საქმე?

— კარგად არის, მარა ხელმძღვანელობა მოისუსტებს.

— ალბად აგრონომი არ გეყოლებათ.

— კი გვყავს, მაგრამ ძალიან სიცრუე სჩვევია.

— ოგორ?

— გლეხებს იბარებს, და თვითონ კი ზესტაფონის და ბელაგორის შუა დასეირნობს.

— ადგილობრივი ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს?

— კი, როგორ, არა, მარა არ სცალიათ, რადგან სოფლებში ჩხრეკავენ გლეხების ბინებს თესლის მოსაგროვებლად. ქეიფობენ შავი სიის ხალხის ოჯახში, რასაც შედეგათ მოსდევს ხმის უფლების აღებენა.

— ბრიგადელები მაინც შეგიწყობენ ხელს.

— კი, მარა ძალიან უყვართ ღვინის სმა და არშიყობა.

— ზესტაფონიდან ჩამოვიდენ ბრიგადელები: ბუხურაშვილი და დოლიძე. ჩვენ თემალმასკომის თავმჯდომარესთან ერთად წასული იყვენ კოლექტივის ჩამოსაყალიბებლად სოფელ პატარა სამებაში.

იქ იქეიფეს გლეხ ცქიტიშვილის ოჯახში, სიმთვრალეში მათ ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ. ერთმა ბრიგადელმა ასტეხა რევოლვერით სროლა. მძიმეთ დაიჭრა მასპინძელი, თემალმასკომის თავმჯდომარე და ერთი უდანაძაულო გლეხი. ხმები კი ასეთი გაავრცელეს — ვითომ თავმჯდომარე ცხენიდან გადმოვარდაო, — მაგრამ შემდეგ თვითონვე გამოასწორეს თავიანთი შეცდომა. (ცხენიდან ერთი კაცის გადმოვარდნით სამი კაცი როგორ დაიჭრებოდა) მოიგონეს, ვითომ მასპინძლის ბავშს სანადირო თოფი გაუვარდა და მით მოხდა ეს ამბავი, მარა გლეხობა მიხვდა ხრიკებს და მათი მოქმედება გამოააშკარავეს.

თქვენ წარმოიდგინეთ მეორე ბრიგადელი დოლიძე „ბრძოლის ველზე“ ისე გამოიპარა, რომ კაცს არ გაუგია. თავს დაესხა შვიდწლიანის მასწავლებელ ქალს და მუქარით წინადადება მისცა ცოლად გაჰყოლოდა!

— სასაცილოა.

— სასაცილო კი არა, თუ ჩაუკვირდები სამწუხარო და სატირალია.

ძირულელი თაღა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სამშვიდობო“ საზღვაო კონფერენციის სიტყვა და საქმე

„სასწრაფო დახმარება“

ერთ მშვენიერ დღეს ბათომის ქუჩებში ვებერთელა ავტომ ჩამოიქროლა. მისმა გამოჩენამ გაკვირვება და სიხარული გამოიწვია.

გაკვირვების მიზეზი ის იყო, რომ ავტოს ეწერა „სასწრაფო დახმარება“, რაც უცხო ხილი იყო ბათომელებისათვის.

— აწი მაინც გვეშველა — ამბობდა ერთი, — გულზე რომ მომივიდეს, ნაშატირნს მომასწრებენ.

— ცოლს რომ ისტერიკა მოუვარს, დროზე მომეშველებიან!—ინუგეშებდა თავს მეორე.

ყველას უხაროდა, მაგრამ ისიდორეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— ასჯერ კინაღამ მომკლა უექიმობით გულის სიგანიერემ და აწი მაინც მომისწრებენ დროზე!

ერთ დღეს ისიდორემ გულის ფართხალი იგრძნო. მიხვდა, რომ საცა იყო უაზროთ დაეცემოდა და ბავშები გააფრთხილა — ტელეფონით დაეძახებიათ „სასწრაფო დახმარებისათვის“.

აქაურაი ტელეფონის სადგური იმდენ ეკონომიას ეწევა, რომ არამც თუ ბინებში, დაწესებულებებშიაც კი არ გაყავს ტელეფონი და ამიტომ ისიდორეს ბავშს ნახევარი ქალაქის შემორბენა დასჭირდა, სანამ ტელეფონს ნახავდა.

— მომეცით „სასწრაფო დახმარება“! — დაუძახა ბავშმა სადგურს.

— გვითხარით ნომერი, თორემ ასე არ იქნება.

ბავში შეკრთა.

— ნომერი არ ვიცი, მამა მიკვდება, მომეცით „სასწრაფო დახმარება“.

— უნომროთ ვერ მოგცემთ, წიგნი იქნება და ამოიკითხეთ შიგ.

ბავშმა თვალი შეავლო იქვე ჩამოკიდებულ წიგნს და უცებ ჩამოიღო: დაიწყო თავიდან, ვინაიდან ის მხოლოდ ოთხწლედში სწავლობდა და რუსული კითხვა კარგად არ იცოდა, მისთვის ძნელი დარჩა იმ ცნობების გადაკითხვა, რომელიც წიგნის პირველ გვერდზე ეწერა. გადაშალა, გადმოშალა და ბოლოს მიაგნო ის ადგილი, სადაც აბონენტის ნომერი იყო.

— შენი მშობლები დაგეძებენ, მილიცია ფეხზე დააყენეს და შენ კი აქ ტელეფონზე თამაშობ. — მკვახეთ უთხრა მილიციელმა.

— როგორ თუ დამეძებენ, მე თვით იმათ გამომგზავნეს სასწრაფო დახმარების გამოსაძახებლად! — გაუკვირდა ბავშს.

— ეს იყო ამ დილას, ახლა კი ღამის 10 საათია. მამა შენი თავპირ დაგლეჯილი დაგეძებს! — უთხრა მილიციელმა. ხელი მოკიდა და კომისარიატიდან გამოიყვანა.

პ. ოგოლი.

რ ი ა - რ ი ა

ტფილისი

ელექტრო-ტეხნიკურ სამსახურის მე-3 უბნის, სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბნისა და წევის დარგის სამსახურის მე-4 უბნის ანგარანების გაერთიანებამ მთელი ალიაქოთი მოახდინა.



— „თვით არ იყო ძმარიო, შიგ ჩავიდა წყალიო“,—სწორედ ჩვენზეა თქმული!

ჩ ო ხ ა ტ ა უ რ ი

სამკითხველოს სულ თავში
და იქ შევედი მეცაო.
გამგე ვერ ვნახე ადგილზე
და გულზე ელდა მეცაო.
გამგეს ვინ ჩივის, სხვა რამე
რომ იყვეს რიგზე თავისა,
არსად არა ვარ მნახველი
ასეთის მე ამბავისა.
—:—

ქვევით გავყევი.... ძაღლები
ღორებს მისდევდენ ღრენითა.
უსუფთაობა სუფევდა
გამოუთქმელი ენითა.
ამ ადგილს გავცდი, წავედი,
ჩამოვიარე ბაზარი;
კოოპერატივში შევედი
ვნახე ვინ რით არის ნაზარი...
საბაპარატის წმენდასა,

ხალხი სულ გამოუცვლია
და თანამშრომლებს „მდაბიო“
ხალხისთვის ძლივს მოუცლია...
დღეს თვალს არ ბრაწავს სანდრო და
ა[illegible] მეხობს სერგია,
ბიუროკრატი მოხელე,
სატარტაროზე ნერგია.

„ციგანი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრაქტორიადა

ზოგ ადგილებში ტრაქტორების მოვლას არავითარი ყურადღება არ ექცევა— საქონლის ბოსელში ინახავენ.

დიდი ჯაფა ადგა შვინდას გაჭქონდა და გამოქონდა მამაპაპური გუთანი.



შვინდას თივას დაუგდებდენ ბოსელში, სადაც ახალ-მოტანილი ტრაქტორიც შეენახათ. აი, აქ დაძმობილდენ ტრაქტორი და შვინდა.

ეოთხელ გაზაფხულზე, როცა აბიბინდა მწვანე ბალახი, შვინდა ბალახობდა მინდვრად და... უცებ უცნაური ხმაური მოესმა და გაშტერდა...



— ოი, საშინელებავ, იბღავლა შვინდამ, — ტრაქტორი კი მინახავს, — მაგრამ ასეთი მოძრავი კი-არა. — და მას მოაგონდა „ძმობილი" ტრაქტორი ბოსელიდან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრონტი უცვლელია

საყვედური თქვენ, გულქვა ფინინსპექტორებო!

არ ვიცი, ვის უნდა დავემდუროთ.. რასაკვირველია, ჩვენს ფინინსპექტორებს, რომ ქ. ტფილისში უკვე ზაჰესის ელნათურით საძებნელი გახდა კერძო სასადილო და სამიკიტნო.

სადღაა ძველი „ოლიმპია“, „ელდორადო“, „გემო“, „სიცოცხლე“ და სხვა ისეთი „სასიცოცხლო“ რესტორანები, სადაც მოქალაქეს თავისი ჯიბის სიცოცხლის ფასად უჯრებოდა კუჭის ამოვსება.

— არსად. და ტყუილ - უბრალოთ ძებნისთვის თავს ნუღარ შეიწუხებთ. თქვენ, „სიცოცხლის“ მოტრფიალე მოსადილენო.

მაგრამ რა შუაშია აქ სასოწარკვეთილება, უიმედობა, ან მით უმეტეს, მსოფლიო რესტორანული პესიმიზმი, ოციოდე (თუნდაც ასიოდე) მიკიტანის არქივისთვის ჩაბარების გამო! ნუ შეშფოთდებით, ჰოი, დამაშვრალნო მოსადილენო, რამეთუ თქვენს განკარგულებაში არის სასადილონი სახკვებისანი, ყრუ - მუნჯთა საზოგადოებისანი, შრომის კოლექტივისანი, კოოპერატივებისანი და სხვათა და სხვათა...

ვის გინდათ იაფი სადილი?

არა, სადარდელი არაფერია, რადგანაც ეს განსაზოგადოებული „საზოგადოებრივი“ სასადილოები — არაფრით არ ჩამოუვარდება ზემოხსენებულ კერძო სასადილოებს: ა) კერძი აქაც ისევე „ვარგისი“ და ბევრ შემთხვევაში კიდევ უფრო „იშვიათი“ ხარისხისაა, ვიდრე იყო კერძოებში, ბ) აქაც ისეთივე „სანიტარული“ მდგომარეობაა, როგორც იქ იყო, ხოლო გ) რაც შეეხება „სიიაფეს“, ამ მხრივ „საზოგადოებრივი“ სასადილოები კერძოებზე უფრო შორსაც წავიდენ (სახელდობრ: ერთი სადილი — ერთი კვირის ხელფასი), დაბოლოს, დ) თუ კერძების ჰასაკს შევეხებით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი სასადილოების მიერ მორთმეული სადილების ხნოვანება თითქმის ყოველთვის „საპატიოა“, რასაც ამტკიცებს მათი გემო, სუნი და შესახედაობაც.

ისიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს საზოგადოებრივ სასადილოებზე არსებობს ფართო საზოგადოებრივი კონტროლი. ისე ფართო, რომ მისი დავიწროება სასადილოს სამზარეულომდე არც კი ხერხდება. ეს ფრიად შველის სასადილოების ადმინისტრატორებს, როგორც სადილების ღირსების „გაუმჯობესებაში“, ისე სანიტარული პირობების „ჯეროვან“ დონეზე დაყენებაში და აგრეთვე თვალსაჩინო მოგების მიღებაში მოსადილეთა ჯიბის ხარჯზე.

ნუღა გადარდებთ მიკიტანთა მწარე ხვედრი

კიდევ ერთი: თუ ვინმეს აფიქრებს მიკიტნების მწარე ხვედრი, მათ დასამშვიდებლად უნდა ითქვას, რომ დამაღონებელი აქაც არაფერია: ის ძველი მიკიტნები ისევ იმ „საზოგადოებრივ“ სასადილოში არიან, იმ განსხვავებით, რომ ახლა ისინი თავს ასაღებენ საბჭოთა მუშა - მოსამსახურეებათ და პროფკავშირის საწევრო წიგნაკებით შეიჯაშვნეს გულბოყვი.

ასე, რომ ამ ფრონტზე მდგომარეობა, არსებითად უცვლელია და კვების დარგის კონსერვატორებს შეუძლიათ უდარდელად იყვენ.

ჩვენ უკვე ვდგევართ პროექტების შედგენის წინაშე

სამაგიეროდ ენერგიული „ჰუშაობა“ ფაბრიკა - ქარხნებთან და საბინაო - საიჯარო კოოპ. ამხანაგობებთან საზოგადოებრივი კვების დაწესებულებათა მოსაწყობად. მართალია, ასეთი დაწესებულებები ჯერ ბევრგან არ არის მოწყობილი; წარმოებებთან არსებული სასადილოები სასაუზმოების შთაბეჭდილებასაც სტოვებენ და საბინაო - საიჯარო ამხანაგობებს ჯერ სიზმრადაც არ უნახავთ საზოგადოებრივი კვების პუნქტები, მაგრამ რა ვუყოთ, მთავარი ის არის, რომ ამის შესახებ ლაპარაკი კარგი ხანია, დაწყებულია და თუ სათანადო კოოპ. ორგანიზაციების ტემპს გავითვალისწინებთ, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ უახლოესი წლების განმავლობაში დაიწყება თვით პროექტების შედგენა საზოგადოებრივი კვების ნამდვილი ორგანიზაციისათვის და მერე კი... ჭამეთ რამდენიც გსურდეთ... საზოგადოებრივი მასშტაბით...

ერთი სიტყვით, საზოგადოებრივი კვების მდგომარეობა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ორივე ეს მდგომარეობა ქმნის მესამე—ლოღიკურ მდგომარეობას, რომელიც კატეგორიულად გვიკარნახებს საფუძვლიანად გამოუჩიჩქნოთ ყური სათანადო კოოპერატიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომ მათ, საბჭოთა საზოგადოებრივობის უშუალო დახმარებით შესძლონ საზ. კვების საქმეში გადამჭრელი და გადამწყვეტი გარდატეხის მოხდენა.

ალლარ-ალლარსანი.

— არავითარი კრიტიკა... [illegible]ლა ერთმმართველობაა... ყველაფერში მე ვარ პასუხისმგებელი.

გაფაჩუნება

— გამარჯობა შენი მაკრინე!
— გაგიმარჯოს ელპიტე ჩემო!
— რავა მყავს შენი თავი?
— გახლავარ, გენაცვალე, შენ თვითონ რავა ხარ? რა იცი ახალი?
— მე რო ვიცი, შენც ქე გეცოდინება.
— მაინც რა იცი ახალი?
— ომისთვის ემზადებიანო, ამბობენ. აუცილებლად დეიწყებენ მოკლე ხანშიო.
— მერე შენ ვინ გითხრა?
— ყველანი ამბობენ.
— არ დაიჯერო, გენაცვალე, ეგ კულაკ ნიკიფორეს მოგონილი ჭორებია და მეტი არაფერი — გაამხნევა თანამოსაუბრე მაკრინემ და თან გაიფიქრა:
— უჰ, რა ჭორიკანაა ეს ოჯახ-ჭორი. ისე ვერ დეელაპარაკება კაცი, რომ გოუგონარი არ გაგაგონოს და გოუჩინარი არ გააჩინოს.

***

— გეიგე, ისიდორე, ახალი ამბავი?
— რა ამბავი კაცო?
— ომი იწყება კაცო, ომი!
— რა ომი, ვინ გითხრა?
— ვინა და მაკრინემ — ჩემმა ცოლმა.
— ტყუილია, ჭორია.
— ჭორი კი არა, ნამდვილია. პაპია ყოფილა თუ ვიღაცა, ხუცების ნეფე და ბრძანება გოუცია.
— ხუცები და ნეფეები რომ ჩვენი მოყვრები არ არიან, მეც ქე ვიცი, ჩემო ნიკო, მარა ხატებით ვერაფერს დაგვაკლებენ; ასე ხელ და ხელ ომის გამოცხადება კი, საეჭვოა, რომ გაბედონ — ცუდათ არის მათი საქმეო, — ამბობენ.
— ცუდათ არი თუ კარგათ, ბრძანება გოუცია იმ კაცს, მათებურად, ბილია რქმევია; გაზეთშიც წოუკითხავთ ეს ამბავი, და კიდევ არ გჯერა?
— გაზეთში სხვანაირად ეწერება; ეგ ამბავი კი კულაკ ნიკიფორეს ჭორი უნდა იყოს, მისებურად შეფერილ - შეკაზმული. არ დაიჯერო! ნახვამდის!

***

— დილა მშვიდობის სოფიო! გაიგე ახალი ამბავი?
— რა ამბავი მართა?
— ომი დაწყებულა, ელო! ანგლიჩანების მეფეს და იმათ ხუცებს პირი შეუკრავთ და ჯარებს აგროვებენ.
— ვინ გითხრა?
— ყველანი ამბობენ, ისიდორეშაც თქვა — ჩემმა ქმარმა, — სიმართლე უნდა იყოსო.

— როგორ უყურებთ დაწინაურებულს?
— უყურებთ კია არა, ბუზადაც არ ვაგდებთ!

— ვითომ დეივიჯერო?!. აჰ, ტყუილია. ათი წელიწადია აგრე ამბობენ, მაგრამ ქე ვართ ჩვენთვის.
— ნუ დეიჯერებ თუ ქალი ხარ; ქვეყანა ამბობს და ნუ დეიჯერებ. რომ მოგაყენებენ ზარბაზანს მაშინ ხომ კარგად დეიჯერებ?

***

— მოსულან, კაცო, მოსულან.
— ვინ მოსულან! სად?
— ანგლიჩანების და ფრანგების ჯარები მოსულან გრანიცაზე, ბათუმს მოდგომიან. წუხელი სულ-ზარბაზნების გუგუნი მესმოდა... დიდი ვაინა უნდა იყოს დაწყებული.
— რა ვაინა, რას ამბობ. ან ზარბაზნის ხმა საიდან მოგეჩვენა, ბათომი ჩვენგან ორას ვერსზეა და როგორ გაიგონე? ჭორებს თხზავ, — არ გრცხვენია?
— ჭორი კი არა, სიმართლეა: აურაცხელმა ჯარებმა გაიარეს, ბათომისაკენ, ათი პოლკი მაინც იქნებოდა...
— რა ათი პოლკი! რას ცრუობ?
— ათი თუ არა ხუთი მაინც იქნებოდა.
— მერე მარტო შენ შეამჩნიე? მოგჩვენებია.
— ნამდვილად დავინახე. ორი პოლკი მაინც იქნებოდა.
— სტყუი.
— ასი ხიშტის დათვლა თვითონ მოვასწარი. ახლა ზარბაზნები?
— არავინ გაგიგონოს ეგ სისულელე.
— მართალს გეუბნები. ასი თუ არა, ოცი მაინც იყო.
— არც ოცი იქნებოდა.
— კი ბატონო, კი. ხუთმა კაცმა ჩვენი წყاروسკენ გადაუხვია წყლის დასალევად.
— არავისაც არ გადაუხვევია. სირცხვილია მაგისთანა ტყუილის თქმა.
— ჩემი ყურით გევიგონე ბატონო ზარბაზნის ბორბლების ჭრიალი.
— ჩვენ სოფლის ტალახში ურემი ეფლობა და ზარბაზანი როგორ გაივლის! ეგეც ტყუილია.
— ქე კი გეიფაჩუნა კაკალ გამთენიაზე რაღაცა იყო და სხვა რა იქნებოდა?

კიკოლიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს!..

ძმაო ტარტაროზო!
თანამედროვე წმინდა ანგელოზო!
წავიკითხე მე შენი ბოდიში,
წარსულ ნომერში
დაშვებულ შეცდომის გამოსასწორებლათ,—
მაგრამ ვერ შევიქენ კმაყოფილი მე მთლათ!..
წარსულ შეცდომაში დამნაშავე, ვთქვათ, ვართ, ჩვენ ყველა.
მაგრამ, იცოდე, ამან მაინც ვერა გიშველა!
რათი ამიხსნი იმ შეცდომის გასწორების დროს
კიდევ დაშვებულ ამ შეცდომას, რაც ყოფილს უდრის?
რატომ შემექნა აქაც საძებარი
მთელი ერთი ბწკარი,—
„მას სრულებით თქვენთან ლაპარაკიც არ სურს!“
რას მივიღებ შენგან ამაზე მე პასუხს?..
იმ შეცდომაზე ხომ აღარას ვიტყვი,
რომ ერთი სიტყვა,
ჩემგან „ყველათი“ ადგილზე ნახმარი,
თქვენთან „ყველაფერი“-თ შეცვლილი რათ არი!
აი, ამიტომ,
ბრალი იკისრო შენ უნდა მარტომ!..

ს. თ-ია.

„მე რომ ბედი მქონებოდა...“

ამას წინათ შემთხვევით **სახმედვაჭრობის სამმართველოში შევიარე.** როგორც შესავალს მიუახლოვდი, ეზოდან ვიღაცას ნაღვლიანი სიმღერა შემომესმა:

„მე რომ ბედი მქონებოდა
ნანა!—
ტანზე კაბა მეცმებ
ნანა!—
ჩვენი გამგის გასახარად.
ნანა!—
ლუიზიკა მერქმეოდა,
ნანა!—

სიმღერის კილო მგლოვიარე ადამიანის უმწეო ქვითინს უფრო ჰგავდა, ვიდრე სევდის გამქარვებელ სიმღერას...

დამაინტერესა მომღერალის ვინაობამ.

„მომღერალი“ დემობილიზაცია ქმნილი უფროსი მეთაური აღმოჩნდა.

— რატომ გენატრება კაბის ჩაცმა, მეგობარო? ან რატომ მღერი აგრე ნაღვლიანად? — შევეკითხე მე.

— ნაღვლიანი ვარ, და ნაღვლიანად ვმღერი. ჩვენი გამგის ხელში აბა რა გვაქვს გასახარი? ორი-სამი კაცი ვართ მთელ დაწესებულებაში ყოფილი მეთაურები;— გამგეს თვალის დასანახავად ვეჯავრებით; რეგისტრატორის და შიკრიკის ადგილის გარდა ჩვენთვის არაფერი ემატება, „ზედმეტ ბარგს“ გვიძახის.... თავისთავიდან დაწყებული დამლაგებლამდე, ყველას მოუმატა ჯამაგირი, ჩვენს გარდა. ჩვენ კი რაკი „**ბარგი**“ ვართ, მოგვიმატებს კი არა, რომ უფლება მაინცა პირიქით შენახვის ფულს, ანუ „ნახრანენიეს“ გამოგვართმევს.

— კი, მაგრამ ეს ლუიზა რა შუაშია?

— შეიარე ადგილკომში, ან ნახე კედლის გაზეთი და ყველაფერს გაიგებ.

— ლუიზა მეძმარიაშვილის ქალი დღეს სახმედვაჭრობის აპარატის მთავარი გმირია და ის ყველა თანამშრომლების მთავარ სალაპარაკო საგანს შეადგენს! — სთქვა ერთმა.

— მის ბედს ყველა შენატრის!.. — დაუმატა მეორემ.

— მაინც ვერაფერი გავიგე; მითხარით გარკვევით საქმის ვითარება.

და მიამბეს:

— ლუიზა მეძმარიაშვილი ხელოვნების მუშაკთა კავშ. წევრი იყო. ერთ დროს მენშევიკებთან ერთად საზღვარგარეთ გაიქცა. დაბრუნებული ლუიზა უმიზნოდ სტკეპნიდა „რაბისის“ კიბეებს სამსახურის ძებნაში... მაგრამ მალე გამოუჩნდა უსაქმო „ნესტანს“, „ბეზრაბოტნობის“ ციხიდან დამსხნელი ტარიელი — კოწია კანდელაკი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ტარიელმა ქაჯეთიდან განთავისუფლებული ნესტანი ინდოეთში წაიყვანა, — ესე იგი დედამიწაზე დასტოვა; კანდელაკმა კი მის მიერ დახსნილი „ნესტანი“ (იგივე ლუიზა) პირდაპირ ცაში აიყვანა...

— რა ცა, რის ნესტანი? ფაქტი აღნიშნეთ!

— 11 იანვარს, 1929 წელს, გამოვდა სასტიკი ბრძანება სახმედვაჭრობის მიმართ; დანიშნულ ქნეს სახმედვაჭრობის მეშვიდე მაღაზიაში მოლარის თანამდებობაზე ლუიზა მეძმარიაშვილი, ჯამაგირით — თვეში 60 მან“. იმავე წლის პირველ ივნისს გამოქვეყნდა ახალი ბრძანება: „დანიშნულ იქნეს **ლუიზა** მეძმარიაშვილი მეხუთე მაღაზიაში“... ამ დანიშვნით ლუიზას ჯამაგირი ექვს თუმნიდან რვა თუმანზე აცოცდა.

— ოცი მანეთი მოუმატეს, მეტი ხომ არა?—ვიკითხე მე.

— ლუიზას ეშხი გამგისთვის ოცი მანეთი კი არა, ოცი მილიარდი ღირს...

— რას არ მოიმკის, მოინადირებს?.. დაუმატეს სხვებმა.

— მომითმინეთ, ამხანაგო! — გააგრძელა მთხრობელმა: — იმავე წლის 25 სექტემბერს გამოქვეყნდა კანდელაკის ახალი ბრძანება, რომლის მიხედვით, „მშვენიერი ლუიზა“ გადაყვანილ იქნა გამყიდველად ოპტიკურ მაღაზიაში, სადაც ის 80 ნაცვლად 100 მან. ღებულობს...

— ასე დააწინაურა კანდელაკმა მეორე „ნესტანი“ მამარდაშვილიც — დაუმატა სხვამ.

— ადგილკომი რაღას აკეთებს?

— ბევრჯერ გაილაშქრა კანდელაკის წინააღმდეგ, მაგრამ ხომ იცით, კანდელაკს „ყოვლის შემძლე ბებიები“ ჰყავს..

— რა კაცია ეს ტარიელ კანდელაკი?

— ტარიელი კი არა, კონსტანტინე კანდელაკი არის; ყოფილი ვაჭარი — საკუთარი მაღაზიის მეპატრონე...

ალბად ჯანმრთელობის კომისარიატის გამწმენდი კომისია გამოარკვევს თუ როგორ „იწმინდება ცოდვებისაგან“ სახმედვაჭრობის აპარატი.

მედუზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

ნახ. ლ. ასტვაცატუროვი, ტფილისი



— გაქვს თუ არა რაიმე უძრავი ქონება?
— როგორ არა, დამბლა-დაცემული სიდედრი მყავს.

ნახ. ორჯონიკიძის, ქარელი.



—შეხე, როგორ გასუქებულა ჩვენი ივანე?
— გასუქებულა კი არა, კბილი ამოიღო დალაქთან და უბა გაუსივდა.

ნახ. თათულოვის, ტფილისი

— სად არიან თქვენი თანამშრომლები, რომ არავინ არის დაწესებულებაში?
— გამგეს ბაბუა მოუკვდა და, რადგან ყველა თანამშრომლები მისი ნათესავები, კასვენებაზე წავიდენ.

ნახ. ბოკუჩავას, ქუთაისი

— ეს ხალხი საითკენ გარბის ნეტა.
— ფურნეში... დღეს კომისია ჩამოდის და კარგი ეური გამოცხვებაო.

ნახ. ლომიძის, ქუთაისი.



ნათავადარი: — ეეეჰ! იყო დრო, როცა გლეხები ასე ეზიდებოდენ ჩემს ბეღელში ტომრებს.
ნაკულაკარი: — ჰაი ჰაი რომ იყო და აღარ არის.

ნახ. ბახტაძის, სამტრედია

— აი, ეხლა ხომ მიხვდი, თუ რატომ ეცემა ორივე კოლექტივში შრომის ნაყოფიერება.

კონკურსი

დამაბრკოლებელ მიზეზების გამო ახალგაზრდა მხატვართა კონკურსი **არ** შესდგა.

რედაქცია **ხელახლა აცხადებს** კონკურსს

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ ახალგაზრდა მხატვრებს. თვითეულს შეუძლია წარმოადგინოს მხოლოდ **1-2-3 ნახატი**.

თემა უნდა იყოს **ორიგინალური** (სხვა ჟურნალებიდან ამოღებულ და გადმოკეთებულ თემებზე შესრულებულ ნახატებს რედაქცია არ განიხილავს).

ნახატი შესრულებულ უნდა იქნას კარგ თეთრ **სახატავ ქაღალდზე** შავი მელნით (ტუში), სუფთად და გარკვეულად.

წარწერა უნდა იყოს ნახატის **მეორე გვერდზე** ავტორის სრული ვინაობის დასახელებით და სწორი მისამართის აღნიშვნით.

მოწონებულ **ავტორებს** მიეცემათ **ჯილდო** კონკურსის შედეგის გამოცხადებისთანავე.

საკონკურსო ნახატების მიღების უკანასკნელი ვადა — **20 აპრილი**.

კონკურსის შედეგი გამოცხადდება **27 აპრილს**.

კონვერტზე **აუცილებლად** უნდა იყოს წარწერა: „კონკურსისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცნობდეთ!

მეორე ათწლედს ესტუმრა,
მოადგილეთ ფულარია,
ხუთ თვეს ძლივსლა იმსახურა,
სკოლის საქმე სულ არია.
ახლა თუმცა აქ არ არის.
არსად სჩანს მისი კვალია,
მრავალს დასცინცლა ფულები,
დააპრაწია თვალია.

მოირთო და მოიკაზმა,
ზღვით სოხუმისკენ გასცურა...
არის საშვალო ტანისა,
ჩასუქებული, რგვალია,
დინჯი და დარბაისელი,
როგორც თავადის გვარია.
შეხედულობით ნაზია,
თან ცოტა შაგვრიმანია,

მდვილი მოხერხებული
და გამოქნილი ქალია;
ერთ ადგილზე ვერ ჩერდება,
ხტუნავს, როგორც კალია.
მუშათა კოოპერატივს
ვაჭრობა ფართალია,
ხელმძღვანელი... ამხანაგებს
გადაულოცა ვალია.
გაჯავრებულნი არიან
მაქსიმე, ნიკო, ვასასი,
რადგანაც ამ ქალბატონმა
მათაც დააძრო ას-ასი.
ამხანაგები ფუცურმა
ოსტატურად გააცურა,

უყვარს შეფუთქა ხრილითა,
თუ ექნა „ლოთიგანია“,
თალხ სამოსელსა ატარებს,
არ ყოფნის ოთხი განია,
ჭამა-სმის მადაც კარგი აქვს,
იმიტომ შესწევს ჯანია.
ტარტაროზო, სადმე ნახოთ,
იქნებ თქვენ ეს „ქალბატონი“,
დაახატვინეთ ჟურნალში,
ამას კარგად შესძლებს „დონი“.
გადმოგზავნეთ ქუთაისში
სატარტაროზოს ხარჯითა,
გადაიხადოს ვალები
თავის შრომით და გარჯითა...

ქიტეს-ოლლი.

იაკინთე

ქარხანა „პროლეტარი“-ს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ვრცელი მოხსენება გააკეთეს შემნახველ სალაროსა და დაზოგვის ერთთვიურის შესახებ.

იაკინთე სამჭკუაშვილს ჭირივით ეზიზღებოდა ყველაფერი თანხის შენახვა.

„თუ ჩელა, სიჩეჩელა, რასაც შესჭამ ის შეგრჩება“.— ამოიღიღინებდა იაკინთე, როცა რესტორნიდან ამობრძანდებოდა გალეშილი.

მისთვის შემ. სალარო ხელსაყრელი არ აღმოჩნდა, ხოლო დაზოგვის ერთთვიური (მხოლოდ ერთი თვით) ცოტა არ იყოს, ჭკუაში დაუჯდა.

— რა ხოშია ჭიქებში! ერთი თვის დანაზოგით უფრო ზორბათ ჩავასხამო!.— ფიქრობდა იაკინთე.

მუშებმა შვიდ-შვიდი მანეთი შეინახეს შემნახველ სალაროში.

ჯერი იაკინთეზე მიდგა:

— ეხ, რას იზამ. ცა და ქვეყანა ფულს ინახავს და მე ხომ არ გამოვრჩები? — სთქვა იაკინთემ და შემ. სალაროში ერთი თვის ხელფასი შეიტანა.

— რას შვები, კაცო, პურის ფულსაც კი არ იტოვებ?—უკვირდა მუშებს.

— მაშ, აბა! რავა გინდა ხელი შეუწყო ინდუსტრიალიზაციას და კოლექტივიზაციას? — ამბობდა იაკინთე.

—:—

— გამარჯვება იაკინთე.

— გააგიმარჯოს, გ... გააუმარჯოს პრრ....როლეტარიატს. გაუმ...მარჯოს შემნახველ სსალაროს, — დრავეხ...მაროთ სახელმწიფოს. მაშ, ბურჟუ...ჟუ...აზია ხხომ არ დაგვეხმარება? მე...მე ვეხმარები პი...პირველი. ჯაან იაკინთე, ჯან შემ...მნახველ სალარო. ფული მსურს მოგაბარო.

— ნუ თუ შემ. სალაროდან გამოტანილი ფულით დაილეში ასე?

— ააჰ, მმაგი არ უთხრა იაკინთეს, თორე ეწყინება, მმარა, მართალი რომ ვთთქვა, ქე გა...მე...მევიტანე....მარა ნიჩავო, ერთი თთვის ფუ...ლი გადავ...ინახე და ცცხოვრება გამიჭირ...და. — ხო...ხომ იცი წვრილი ცოლ...შვილის პატ...რონი ვარ. არა ვარ... მი...ნავათი... სამაგიეროთ გადაღმა თვე...ე...ში ორი თვის ხელ...ფასს გა...ადავდებ.

—: —

მეორე დილით ქარხანაში ყველამ იცოდა იაკინთეს სამარცხვინო ამბავი.

იაკინთე, სირცხვილით დამწვარი, ტყავში ძვრებოდა. ამის შემდეგ საბოლოოთ მიატოვა ლოთობა და ამხანაგები მას სალჭკუაშვილს ეძახიან.

მას კიდეც მოსწონს ახალი გვარი.

ბახრო.

ბრიგადა

აქ, ცხუნკურის თემში
ჩამოსულ ბრიგადას,
ისე აშლილი აქვს
სმა და ჭამის მადა,
რომ არას აკეთებს
ლორმუცლობის გარდა.
ერთ მათგანს—რატიანს
გოგოც შეუყვარდა,
ფეხ-ქვეშ გაეშალა
გრიშაშვილის ვარდათ,
მაგრამ ვერას გახდა,
ჩარჩა გულში დარდათ.
გაუფრინდა „რაინდს“
სატრფიალო მტრედი;
სწყევლა ბრიგადობა
და გაჩენის ბედი.
ასე განამწარი
ცხენს მოახტა სწრაფად;
კულაკებს ეწვია,
ღვინოს დაეწაფა.
სიყვარულის ცეცხლი
სმაში გაინელა
და ისე დაითრო,
დაავიწყდა ყველა.
ბასკანჩილაძესაც
(ბრიგადის ხელმძღვანელს)
თავი ისე მოაქვს,
როგორც კულა გლდანელს.
სხვებთან ერთად იგიც
დადის, დაქეიფობს;
ხან სუფრას თამადობს,
ხან კი მერიქიფობს.
რევოლვერის სროლით
ისე ივარჯიშა,
რომ მთელი სოფელი
გადაიქცა შიშათ.
სათესლე სიმინდით
ასექებენ ცხენებს;
ხან ერთი და ხან მეორე
მიაჭ - მოაჭენებს.
პანღურის ღირსია.
ეს ვითომ „ბრიგადა“,
რადგან კულაკობას
ურცხვად შეეზარდა.

უჩინარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული იუმორი



— აი, ამხანაგებო, როგორც ხედავთ სპირტი სხეულს ინახავს გახრწნისაგან!
— ჩვენი უჯრედი კი, პირიქით, სპირტისაგან გაიხრწნა.



— ვასიკო, რა მოგივიდა?! წმენდა ჯერ კიდევ არ დასრულებულა და მოსამსახურეს უყვირი?!



— არ გრცხვენია, რომ ყოველთვის იგვიანებ? აი, გერმანიაში მატარებლები წუთითაც არ იგვიანებენ!
— მერე და რაო? ბურჟუებთან დავიწყებ შეჯიბრებას თუ?!



ხულიგანი: ფული, თორემ გაგაძვრე სული!
ბიუროკრატი: შემოიტანეთ განცხადება და შემოიარეთ ორი კვირის შემდეგ.

ვაი, ჩემო ოცო თუმანო!

ზედა-საზანო (ქუთ. ოლქი)

ვინცხამ ჩვენ ალმასკომის თავმჯდომარე შალვა თორფლაძეს უხიტრა, დეექცეს სახლი და კარი. დევიღუპე კაცი. პაწახან ქემაინც ეცლიათ, ერთი ქცევა მიწა მქონდა სხვის ეზოზე მოკრული. დავჭლექთი კაცი და ამ ადგილის ჩაგდება ხელში ვერ გავახერხე, ან ფულით ან რამეთი.

ავდექი მართლაც ერთ საღამოს და მივედი შალვასთან, რაცხა იღბალზე კი დამხვდა სახში. დიდი ამბის შემდეგ, ოლხსენი ჩემი გაჭირვება. ერთი გადმომხედა და წარბები შეჭმუხა. ვიფიქრე — ეხლა გასკდა მიწა და დევიღუპე კაკალი კაცი. ერთი კიდევ გადმომხედა და იმედიანათ თავი დაქნია, ჩაიცინა და ტკბილათ მითხრა: —სიკვდილს არაფერი ეხერხება თუ არა, მაგ ხომ იოლი საქმეაო.

ვიკარი ჯიბეზე ხელი, ამოვიღე ოცი თუმანი და სტოლზე დაულაგე, ეს შენი ფეშკაში იყოს, ჩემო შალვა, მხოლოდ ეს საქმე მომიჭახრაკე რამე ნაირათ თქვა. მომცა იმედი და წამოვედი სახლისკენ გახარებული.

გევიდა ერთი თვე, გავარდა სოფელში ხმა, შალვა დოუჭერიათო. როგორ დევიჯერო ეს! შალვას ვინ გოუბედავს დაჭერას!... ცოტა არ იყოს მეც შემეშინა, ვაი თუ რამე შეგვიტყვეს. მბურძგლავს ტანში, ამიდგა თმა ყალყზე, ისე, რომ ქუდი ძირს გადმოვარდა. ვინცხა დევდარიანი ყოფილა პროკულორი, ისე ალაპარაკა ჩვენი შალვა ვისგან რამდენი ქრთამი ოულია, როგორც პატარა ბავშვი. იცოცხლე, გრიგოლ ტვიძეს და ბრეგვაძეს კანკალი ქონდათ ატეხილი, მარა, კი გადარჩენ რაცხა ოინებით და.... მისი მზერით ორჯერ გული შეგმიფრიალდა. თავი კი იმართლა შალვამ— უკანასკნელათ ვიღებდი ქრთამს და გროშსაც ჯიბეში სხვა მიდებდაო. ამ სიტყვის შემდეგ შიაყოლეს გამსახლისაკენ. მე კი რაცხა იღბლათ კი გადავრჩი მარა, ეს ოცი თუმანი ხომ წყალში გადავყარე?

საზანოელი არტისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იგავი თესვაზე“ (სახარება ს. თ—იასი)

ერთხელ ცენტრის კაცი მივიდა სოფლად. მასთან შეიკრიბა მრავალი ხალხი. კაცი ცენტრიდან შესდგა ტრაქტორზე და წარმოსთქვა მან იგავი მთესვარზე:

„გამოვიდა მთესვარი თესვად. როცა თესავდა, ზოგი თესლი დავარდა ნაპირზე, და შესჭამეს ბელურებმა და ქათმებმა. ზოგი თესლი დავარდა ხნულზე, მაგრამ, ვინაიდან ხნული დახნული იყო კავ-სახნისით და მიწა ღრმა არ იყო, თუმცა აღმოცენდა, მარა ძალე გახმა. ზოგი დავარდა ეკალთა შორის, რადგან სათესი ადგილი არ გაეწმინდათ ბუჩქნარებისაგან, აღმოცენდა, მარა მოაჭკნო ეკალმა და გახმა. ხოლო თესლი იგი, რომელიც დავარდა კოლექტივის მიწაზე, ხოლო მიწა იგი რომელიც იყო ტრაქტორით მოხნული, — აღმოცენდა და მოიტანა ნაყოფი ზოგმა — ასი წილი, ზოგმა — მეტიც“...!

ეს რა გაათავა კაცმა ცენტრიდან, სთქვა:

„რომელსა გაქვთ ყურთა სმენა, ისმინეთ!... „რომელსაც არა-და, — ქე მოგივათ ისეთივე მცირე მოსავალი, როგორიც დღემდე მოგდიოდათ“.

დაიხურა თავზე ქუდი (მაგრამ, უკაცრავად, მგონი ლაპარაკის დროს მოხდილიც არ ჰქონდა ქუდი), ჩამოხტა ტრაქტორიდან და...

მოახტა ქალაქისაკენ მომავალ მატარებელს.

ხი—ლი.

თესვა ზეცაში



ლმერთი: „თუ არა გყავს მოახ ლეთ, თავი მოიმოახ ლეო“

„კოლექტიური ქორწილი“

— ჰო, და... იმას ვამბობდი... ერთი შენ ე მაგ ტიკჭორიდან გადმომისხი ე ღვინო!— დაიწყო ლუდლუღით ჯერ წინა დღითავე კაჭარეთის კოლექტივში ნათამადარმა და აქაც იმავე თანამდებობის პირმა, როცა ქოდალოს კოლექტივის მიდამოებს ზურნის ჭიჭყინმა ყურები გამოუჭედა და მაყრიონმა შემოსძახა:

— „მოვდივართ, მოგვიხარიან, მოგვყავს დედალი ხოხობი“, და...

— „კაჭარეთის კოლექტივის წევრი ქალი ითხოვა ქოდალოს კოლექტივის წევრმა ბიჭმა! სამი დღე კაჭარეთის კოლექტივის ქონება გაჩანაგდა და ქოდალო თავს ხომ არ შეირცხვენდა!... აქაც სამი დღე უნდა...

—მერე და რა არის აქ სასირცხვო?! რაღაც რამდენიოდე ათეული თუმანი რომ დახარჯოს ორმა კოლექტივმა, რა დიდი ბედენაა?!. ერთ კაცს ხომ არ ხვდება ეს ამბავი, ერთი ოჯახი ხომ არ ისეტყვება, და... აი ეხლა ნიკა რომ ამბობს, ვაი თუ ი ბრიგადაა, თუ რაღაცა ჩემი ფეხები, ვაი თუ გაზეთში გვიქნან რამეო... ბიჭო, და... „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?!“ ანუ რა უშავს, რომ ხანდახან გავიხსენოთ ხოლმე ეს ძველებური პურმარილი, რევალიუციანურთან ერთად ესეცა ვქნათ, რა!... ერთბაშად ხომ არ მოვსპობთ ყველაფერს!... ჯერჯერობით ამ კოლექტივების დაარსებით დავკმაყოფილდეთ, და... აი, ჰო... რას ვამბობდი?!. — გაბა „რეჩი“ თამადამ.

— მირთვი, გენაცვა, მიირთვი... —უსხამდა მთვრალი მერიქიფე.

— ჰო, და...— დაიწყო ისევ თამადამ, მაგრამ თვალები აეწირპლა, ცხვირი უფრო აუწითლდა გომის რაიონში დასათეს საშაქრე ჭარხალივით და ფარცხივით გაფარჩხულ ულვაშებზე პირიდან გამორეკილი „ცვრები“ დაეკიდენ ყირამალა...

— რა გატირებს კაცო?! აქ ქორწილია თუ ქელეხი?!— შეეკითხა სიცილით სუფრის ერთი წევრთაგანი.

— ჩემი დედმამა მომაგონდა, ძარტო რომ მომიხდა იმათი დამარხვა; ნეტაი ისინი ეხლა მაინც დახოცილიყვნენ, — კოლექტივი იკისრებდა - მეთქი იმათი დამარხვის ხარჯებსაც... ჰო, და... აი თქვენ ხომ დალიეთ ჩემი დედმამის, — ეხლა მინდა თქვენი მშობლებისა მივირთვამეთქი... ვისაც კვდარი გყავთ — საიქიოს ნათელი დაადგეთ ბარემა და ვისაც ცოცხალი, იმას კი...

— რა დროს ეგენია კაცო, ჯერ ნეფე-პატარძალისა არ დაგვილევია, და!.. — გააწყვეტინა მერიქიფემ.

— ჰო, და... მეც მაგას ვამბობდი, რაღა.— მიირთვით - მეთქი. აი, გაამოთ!.. ასე...ესეც გაუმარჯოს-მეთქი, ჩვენი კოლექტივების გადაკლიტვას, ნათელ - მირონულად გადაბმას, კოლექტიურ ქორწილსა, და, იმასა, რომა... გაგიმარჯოთ!... —დაამთავრა“ ბრძანება “თამადამ.

ტარზან.

„ტარტაროზი“-ს კალენდარი

ჩვენი თანამშრომლების მიერ ჟურნალში უფრო მეტად მონაწილეობის მიღების და მასალების უკეთესად დამუშავების მიზნით, რედაქციამ შეიმუშავა მუშაობის **ორთვიანი გეგმა**, რომლის მიხედვით **„ტარტაროზი“**-ს შემდეგი ნომრები გამოვა დაახლოებით ასეთი შინაარსისა და განხრით:

№ 14, 13 მარტი — ჩვეულებრივი

№ 15, 20 მარტი — სპეციალური, ქუთაისის

№ 16, 27 მარტი — საპირველმაისო, ანტირელიგიური (საალმდგომო) და პროვინციის განხრით.

№ 17, 4 მაისი — სპეციალური ლიტერატურული

№ 18, 11 „ „ — ჩვეულებრივი.

№ 19, 18 „ „ —სპეციალური, ბათომის

№ 20, 25 „ „ — ჩვეულებრივი

თანამშრომლებმა მასალები ამ გეგმისა და მიხედვით უნდა მოგვაწოდონ.

„ტარტაროზი“.

„ახალი წამალი“



— კუჭის გასაწმენდი წამალი მინდა.

— შე კაი კაცო, მაგისთვის აფთიაქში რა გინდა! შედი ჩვენს წითელ სასადილოში და ისადილე... მეტი არაფერი არ გინდა.

ბიძიმონს (ბუკის-ციხე, გურია) თქვენი „გძირების ბუდე“ ასე იწყება:

თუ მივხედავთ ალმასკომს,
იქ დაგხვდება ვალოდი.
მაგრამ ფრთხილად იყავით,
არ წამოყაროს დორბლი.

იგივე ითქმის ნოქრისა და მასწავლებლის კუპლეტებზედაც:

ახლა წავიდეთ, ალმასკომს
მივადგეთ კაკუნით კარზე,
რომ ხელი არ შეუშალოთ
მას მშვიდობიან ძილზე...

ჰო-და, როცა ეს ადგილი ყველაზე უკეთესია, რაღა იქნება სხვები?

ხათრიანს (დვაბზუ, ოზურგ. მაზრა) რა შუაშია აქ ხათრი? ხათრისთვის ასეთი ამბავი არ დაიბეჭდება:

ნინას მუავიას კარებთან
ღამით მიდიან ჩუმათა.
შეგვჭამა მთელი სოფელი

ამ ქალმა ცოცხლად, უმათა... თუ კი მართლაც ეს ასეა, როგორც თქვენ ამბობთ, დაიცადეთ ცოტა და მას მაინც დაემართება თავისი,—როგორ მოინელებს მთელს სოფელს ცოცხლად და უმად გადაყლაპულს?!

პარდონს (აქვე) მართლაც, პარდონ,—თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება, მიუხედავად იმისა, რომ:

„მთელი ღამე გავათენე
მე ამ ლექსის წერაზე.
თუ დაბეჭდავთ, იცოდეთ —
მე დავდგები ცერაზე“ (ე. ი. ცერზე!)

შეგვეშინდა—სიხარულისაგან „ცერზე“ დადგომის დროს ფეხის თითი არ მოგტეხოდათ. გარდა ამისა, თუ ამ ლექსს მთელი ღამე მოანდომეთ და არ გძინებიათ, რომ დაგვებეჭდა, წახალისდებოდით და შემდეგ ყოველ ღამეებს გაათენებდით.

როზას (აქვე) წავიკითხეთ თავიდან ბოლომდე თქვენი „ფილოსოფიური ნაშრომი“: „ფულო ცოდვილო“, რომელშიაც ყოველივე ბოროტებასა და სიავეს აწერთ ფულს, ზიზღს უცხადებთ და ჰგმობთ, ჰკიცხავთ მას:

მაშ ასე, ფულო, სიმართლის მტერო,
აღარ დაგინდობთ აწ შენ აღარა.
შენზე ფიქრმა და ტანჯვამა,
უცბად გამხადა ჭაღარა.

კარგი-და, თუ ასე გძულთ და გეჯავრებათ ფული, ფული, მასზე ფიქრმა (ალბად, მისი შოვნა) რატომ გაგხადათ უდროოდ ჭაღარა. გეტყობათ—არ გძულებიათ.

ალს (აქვე, ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის მასწავლებელ კიკნაძის შესახებ სწერთ, რომ:

გაჰკრა, გამოჰკრა მოწაფეს
და ცხვირში სისხლი ადინა... და ამიტომ ის თხოულობს — გამოეცვალოს გვარი და მიეცეს შესაფერისი — **მკვლავაძე.** ამის შესახებ უნდა მიმართოთ განათლების განყოფილებას. მაგრამ რა შუაშია აქ მისი „რასპუტინობა“, აღარ ვიცით.

ამ. შევარდნაძეს. თუ ჩვენს ჟურნალს კითხულობთ, გეცოდინებათ, — რა ნაირი მასალები იბეჭდება. წერილი უნდა იწერებოდეს ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვეული ხელით. მასალა აიღეთ ადგილობრივ სინამდვილიდან.

— ს. სულამბერიძეს (ქუთაისი): — **გიდასტურებთ, რომ ჟურნ. „ტარტაროზი“ (№ 11) წერილი „ბახმო“-ს ხელმოწერით, თქვენ არ გეკუთვნით.**



— ტრაქტორი კი გვაქვს, მაგრამ თესლი რომ ვერ მივიღეთ?'

რედაქ.: სარ. კოლეგია; გაზ. „მუშას“ გამოცემა; საქ. პ.-ტრ. 5-თე სტამბა; მთავლ. № 1319